ხელშეკრულება № 45
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნტის თანახმად, (CPV 44620000),

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „25" .....07..... 2014 წ. თბილისი.

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახური,** წარმოდგენილი მისი საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის დავით კაპანაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956
სახელმწიფო სახაზინო კოდი: 220101222 ა/ა 200122900

და მეორე მხრივ, **შპს „თბილ სახლ"-ს,** წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: თბილისი, კოსტავას ქუჩა N76
საიდენტიფიკაციო კოდი: 204976179
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი BAGAGE22;
ანგარიშის № GE19BG0000000175579101

შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, ხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: დანართი N1-ით გათვალისწინებული ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემის ნაწილების მიწოდება (შემდგომში „საქონელი").

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **22 450 (ოცდაორიათასოთხასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი განსაზღვრულია დანართი N1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 სამუშაო დღის ვადაში**.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი ქეთევან წამებულის) გამზირი №96.

მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი.

5.2 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს: 1 წელს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის, ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.4. საგარნატიო ვადის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ 5.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. საქონელი, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით გონივრული ვადით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია წუნდებული საქონლის გამოვლენის შემთხვევაში, დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონელის, ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ 10 დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ სასაქონლი ზედნადების და ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება ასევე შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით ან სხვა სტიქიური უბედურებით;

10.3. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დოკუმენტურად დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესაბამისად, შეცვალონ ან შეწყვიტონ ხელშეკრულების პირობები, სრულად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება,

მუხლი 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას;

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

12.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მხოლოდ ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის სრულად მოწოდების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური;

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

13.2. თუ ერთ–ერთი მხარე არ არსრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობით ან სხვა ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

13.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4. წინამდებარე ხელშკერულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 01% პროცენტის ოდენობით.

13.5. შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 პროცენტი.

13.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქონელის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

გ) მიმწოდებლის მიერ საქონლის მოწოდების ვადების 10 დღით დარღვევის შემთხვევაში (ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი);

დ) შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. დამატებითი პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

19.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

19.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, მეორე - შემსყიდველთან).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
დავით კაპანაძე	**მალხაზ კურტანიძე**
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

2014 წლის „25" 07 N45 ხელშეკრულების
დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	ფენკოილი (FERROLI; Q 4000 W 9400 TOP -FAN VM-B 60)	10	715	7150
2	ფენკოილი (FERROLI;TOP FAN VM-B 40 COOOO)	10	650	6500
3	ფენკოილი (FERROLI;TOP FAN VM-B 40 LOOOO)	10	715	7150
3	ფენკოილის პულტი (FERROLI;CM-F)	30	35	1050
4	ფენკოილის ფეხები (FERROLI)	30	20	600
	სულ			22450

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:

დავით კაპანაძე _____

საფინანსო და ლოჯისტიკის

დეპარტამენტის უფროსი

ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან:

მალხაზ კურტანიძე _____

დირექტორი

ბ.ა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

25. 07 ..... 2014 წელი

თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის თავმჯდომარე: დავით კაპანაძე
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

კომისიის წევრები:
ზვიად ხოფერია - საფინანსო სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ლადო ულუმბერაშვილი -იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე,
ლევან ლობჟანიძე - საორგანიზაციო სამსახურის უფროსი,
გიორგი კობრეშვილი - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი იურისტი.

აპარატის წევრები:
კობა არველაძე - ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი,
გიული ჩოხელი - შესყიდვების კოორდინატორი,
დავით გოგოლაძე - ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი: ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის 2014 წლის 07.07.2014 წლის N1134/01 მოხსენებითი ბარათის განხილვა.

მოისმინა: ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის-კობა არველაძის ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციულ შენობაში დაზიანებულია და შესაცვლელია გათბობა გაგრილების სიტემის ნაწილები, კერძოდ: 30 ცალი ფენკოილი, 30 ცალი ფენკოილის პულტი და 30 ცალი ფენკოილის ფეხები.

განიხილა: კომისიის წევრების მხრიდან განხილულ იქნა ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის 2014 წლის 07.07.2014 წლის N1134/01 მოხსენებით ბარათში მოყვანილი გარემოებები.

აღინიშნა, რომ შპს ,,თბილი სახლი" წარმოადგენს ,,Ferroli"-ის ფირმის ექსკლუზიურ წარმომადგენელს საქართველოში და შპს ,,თბილმა სახლმა" სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაამონტაჟა გათბობა-გაგრილების სისტემა, რომელიც ასევე ,,Ferroli"-ის ფირმისაა და უკვე შესყიდული გათბობა-გაგრილების სისტემის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების, მისი შემდგომი შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია გათბობა-გაგრილების სისტემის ნაწილები შესყიდულ იქნას ,,Ferroli"-ის ფირმის და შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნტის თანახმად, შპს ,,თბილის სახლის"-გან.

დაადგინეს:

1. დაევალოს შესყიდვების კოორდინატორს მოამზადოს შესყიდვების გეგმაში შესატანი ცვლილების პროექტი, შესყიდვების გეგმაში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ ბრძანებისა და გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარე _____ **დავით კაპანაძე**

კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე _____ **ზვიად ხოფერია**

კომისიის წევრი	_____	ლადო ულუმბერაშვილი
კომისიის წევრი	_____	ლევან ლობჟანიძე
კომისიის წევრი	_____	გიორგი კობრეშვილი

აპარატის წევრები:

აპარატის წევრი	_____	კობა არველაძე
აპარატის წევრი	_____	გიული ჩოხელი
აპარატის წევრი	_____	დავით გოგოლაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალურ აუდიტორს
ბატონ ლაშა თორდიას

საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის
ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის
კობა არველაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ლაშა,

თბილისის ადმინისტარციული შენობაში არსებული „Ferroli"-ს მარკის გათბობა-გაგრილების სისტემის ზოგიერთი რადიატორი დაზიანებულია და გამოსულია მწყობრიდან რომელთა სანაცვლოდ შესაძენია ახალი რადიატორები და მათი მართვის პულტები. მოგახსენებთ, რომ კომპანია „Ferroli"-ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში არის შპს „თბილი სახლი" (იხ. თანდართული სერტიფიკატი), რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი მატერალურ-ტექნიკური ბაზა და გამოცდილება აღნიშნული ტიპისა და დასახელების ორიგინალი აგრეგატების მომსახურებასა და მოწოდებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გათბობა-გაგრილების სისტემის გამართულად ფუნქციონირებისა და ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია აღნიშნული დანადგარების შესყიდვა შპს „თბილი სახლი"-სგან გამარტივებული შესყიდვის გზით. საქონელის მოწოდების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **22450 ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

გთხოვთ, თქვენს შემდგომ გადაწყვეტილებას.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით, კობა არველაძე

07 ივლისი

№ 1134/01
"07" 07 2014

შპს თბილი სახლი

ვაჟა-ფშაველას 20, თბილისი, საქართველო, 0160; ს/კ 204976179; ტელ./ფაქს. (+995 32) 2 311525; 2 311535;
www.casacalda.ge; info@casacalda.ge

INVOICE

მყიდველი

სახელი:	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
მისამართი:	
ს/კ ან პ/ნ:	412675528
ტელეფონი:	

ინვოისის № 2599
თარიღი: 04.07.14

მწარმოებელი	კოდი	აღწერილობა	ერთ.განზ.	რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი
FERROLI	1ZE2E00P	ფენკოილი Q4000 W9400 TOP-FAN VM-B 60	ცალი	10.00	715.00	7,150.00
FERROLI	2T1C000E	ფენკოილი TOP FAN VM-B 40 COOO	ცალი	10.00	650.00	6,500.00
FERROLI	2T1L000E	ფენკოილი TOP FAN VM-B 60 LOOO	ცალი	10.00	715.00	7,150.00
FERROLI	19E2A11B	ფენკოილის პულტი CM-F	ცალი	30.00	35.00	1,050.00
FERROLI	19E2A10A	ფენკოილის ფეხები	წყვილი	30.00	20.00	600.00

ჯამი **22,450.00**

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ანგ. ნომერი: **GE19BG0000000175579101**

SWIFT: **BAGAGE22**

ფასი მოგემულია
ეროვნულ ვალუტაში
დღგ-ს ჩათვლით

გაყიდვების მენეჯერი:

ლევან ცაგურია

Ferroli
i migliori gradi centigradi

1955-2005 50 Anniversario Ferroli

CERTIFICATO

FERROLI S.p.a.,

multinazionale italiana leader del settore del riscaldamento e del condizionamento domestico ed industriale,

certifica che

CASA CALDA

e` partner ufficiale per la commercializzazione, le attivita` di service e la promozione dei propri prodotti in Georgia.

Ferroli S.p.a.
Michele Di Marino
(Area Manager Export)

FERROLI S.p.A.
San Bonifacio (Verona)

San Bonifacio, Luglio 2005

GRUPPO

Ferroli S.p.A.
Via Ritonda 78/a
37047 San Bonifacio (VR)

Tel. 045 6139411
Fax 045 6100051

Ferroli
i migliori gradi centigradi

1955-2005 50 Anniversario Ferroli

CERTIFICATO

FERROLI S.p.a.,

multinazionale italiana leader del settore del riscaldamento e del condizionamento domestico ed industriale,

certifica che

CASA CALDA

e` partner ufficiale per la commercializzazione, le attivita` di service e la promozione dei propri prodotti in Georgia.

Ferroli S.p.a.
Michele Di Marino
(Area Manager Export)

San Bonifacio, Luglio 2005

Ferroli S.p.A.
Via Ritonda 78/a
37047 San Bonifacio (VR)

Ferroli

1995-2000 წელი

Ferroli-ს 50 წლისთავი

სერთიფიკატი

შპს Ferroli

იტალიის საერთაშორისო კომპანია ლიდერი საოჯახო და სამრეწველო გათბობისა და გაგრილების სფეროში

გაცნობებთ, რომ

თბილი სახლი

არის საქართველოში მარკეტინგის, მომხმარებლისათვის სერვისის გაწევისა და თავისი პროდუქციის გავრცელების ოფიციალური პარტნიორი.

შპს Ferroli

მიქელე დი მარინო

(ექსპორტ მენეჯერი)

საბ ბონიფაჩო, 2005 წლის ივლისი

შპს Ferroli

რიტონდას ქ.#78/ა; 37047 სან ბონიფაჩო; თელ: 045 6139411; ფაქსი: 045 6100933

ინგა კვარაცხელია.

სანოტარო აქტი

თბილისი, ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაორი ივლისი 22.07.2014წელი

მე, საქართველოს ნოტარიუსი **ნანა ბაკურაძე** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ №76, პირველი სართული.

ვამოწმებ იტალიური ენის დიპლომირებული მთარგმნელის **ინგა კესარელის** 25.12.1967წ მცხოვრები: საჩხერე, კოსტავას ქ.№ 59 პირადი № 38001040874 პირადობის მოწმობა № ბ1092701, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საჩხერის სამსახურის მიერ 17.09.2007 წელს) ხელმოწერის სინამდვილეს იტალიურ ენიდან ქართულ ენაზე თანგმანზე

თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: მოწმობა № აუ 008881 გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1994 წელს.

მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სიზუსტის გარანტიას და მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური (1 ეგზემპლარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისთვის) 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507დადგენილების 31-ე მუხლისა,) აგრეთვე დ.ღ.გ 0,36 თეთრი (თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 169-ე მუხლისა) რეგისტრაციის საფასური 2,0 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 39-ე მუხლისა,)-სულ გადახდილია 4 ლარი და 36 თეთრი

ნოტარიუსი: /ნ.ბაკურაძე/

ც ნ ო ბ ა

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„25" ....07..... 2014 წელი

ჩვენ წინამდებარე ცნობაზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ **ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემის ნაწილების** შესყიდვის პროცედურის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა, არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მომწოდებელ **შპს „თბილ სახლ"-თან** ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე,
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი _____ /დ. კაპანაძე/

თავმჯდომარის მოადგილე
საფინანსო სამსახურის უფროსი _____ /ზ. ხოფერია/

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე _____ /ლ. ულუმბერაშვილი/

საორგანიზაციო სამსახურის უფროსი _____ /ლ. ლობჟანიძე/

იურიდიული დეპარტამენტის მთავარი იურისტი _____ /გ. კობრეშვილი/

აპარატის წევრები:

შესყიდვების კოორდინატორი _____ / გ. ჩოხელი /

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი _____ /კ. არველაძე/

საფინანსო სამსახურის მთავარი სპეციალისტი _____ /დ. გოგოლაძე /

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის წევრები:

ლოჯისტიკის სამსახურის ექსპერტი ..... /ზ.ბაღაშვილი

ლოჯისტიკის სამსახურის მთ.სპეციალისტი ...../გ.ჯინჭარაძე/